



**შეკრებისა და გამოსათვის უფლებების  
შემზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებები  
და მონიტორინგის მიზნები**

**2025**

**შეკრებისა და გამოსატვის უფლებების  
შემზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებები და  
მონიტორინგის მიზნებაები**



**დოკუმენტი მომზადებულია  
ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ**

**ავტორი: კარლო შერაზადიშვილი  
რედაქტორი: ალექო ცქიტიშვილი**

# სარჩევი

<u>შესავალი</u>	<u>3</u>
<u>შეკრებისა და გამონატვის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებები</u>	<u>4</u>
<u>შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები, აქციის ორგანიზატორებისთვის გამკაცრებული სანქციები</u>	<u>6</u>
<u>სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან გათანაბრებული ჯარიმები</u>	<u>8</u>
<u>გამონატვის თავისუფლების შეზღუდვის ახალი საფუძვლები</u>	<u>9</u>
<u>სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებები</u>	<u>12</u>
<u>ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მიგნებები და დამკვიდრებული ტენდენციები</u>	<u>14</u>
<u>დასკვნა</u>	<u>16</u>

## შესავალი

2025 წლის იანვრიდან „ქართული ოცნების“ ერთპარტიულმა პარლამენტმა აქტიურად გააგრძელა საქართველოში ადამიანის შეკრებისა და გამოსატვის თავისუფლების საკანონმდებლო შეზღუდვა.<sup>1</sup> „ქართული ოცნების“ პარლამენტის თუ მთავრობის მიერ ინიცირებული რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებები პირდაპირ ეწინააღმდეგება დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს. ამ ცვლილებების ერთადერთ მიზანი შეკრებისა და გამოსატვის უფლების შეზღუდვა და საზოგადოებაში არსებული საპროტესტო მუხტის დათრგუნვაა.

**საკანონმდებლო ცვლილებები ძირითადად 3 ნორმატიულ აქტს შეეხო:**

*საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;*

*საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ;*

*საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი,*

<sup>1</sup> რადიო „თავისუფლება“ - მიხეილ ყაველაშვილმა პროტესტისა და გამოსატვის თავისუფლების შემზღუდავ ცვლილებებს ხელი მოაწერა. 07.02.2025. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33306634.html> 10.04.2025,



## შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებები

საქართველოში მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სხვადასხვა ხელისუფლების პირობებში სამართალდამცავების და სასამართლოს მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენდა მოქალაქეთა შეკრებისა და გამოხატვის უფლებების შესაზღუდად. „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილება არსებული კოდექსის გამკაცრების შესახებ, პირდაპირ უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე.

### გაზრდილი ადმინისტრაციული ჯარიმები და პატიმრობის ვადა

2025 წლის 6 თებერვალს ძალაში შესული ცვლილებების<sup>2</sup> შესაბამისად, 4-ჯერ გაიზარდა ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა და 15 დღის ნაცვლად 60 დღით განისაზღვრა. ვადის ასეთი ზრდა პროტესტის მონაწილეთა დაშინებას ისახავს მიზნად და არაფერი აქვს საერთო საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვასთან. აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული ცვლილებებით, პატიმრობის მაქსიმალური ვადა - 60 დღე სწორედ ისეთი სამართალდარღვევებისთვისაა გათვალისწინებული, რაზეც ყველაზე ხშირად გამოიყენება ადმინისტრაციული სანქციები მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ.

ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა გაიზარდა წვრილმანი ხულიგნობის<sup>3</sup>, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მოთხოვნის დაუმორჩილებლობისა<sup>4</sup> და ვანდალიზმისთვის.<sup>5</sup> ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენისთვის პატიმრობის ვადა 5 დღიდან 60 დღემდე გაიზარდა.

საკანონმდებლო ცვლილებებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯარიმით გათვალისწინებული სახდელის ოდენობაც.<sup>6</sup> წვრილმან ხულიგნობაზე ჯარიმის ზედა ზღვარი გასამმაგდა და 1000 ლარის ნაცვლად 3000 ლარით განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ ცვლილებები განიცადა თავად მუხლის შინაარსმაც

<sup>2</sup> რადიო „თავისუფლება“ - „ქართული ოცნების“ პარლამენტმა პროტესტისა და გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი ცვლილებები დაამტკიცა. 06.02.2025 ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33305712.html> 10.04.2025

<sup>3</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 166-ე მუხლი

<sup>4</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 173-ე მუხლი

<sup>5</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 166<sup>2</sup>-ე მუხლი

<sup>6</sup> „ნეტგაზეთი“ - გაზრდილი ადმინისტრაციული პატიმრობა და ჯარიმები – რას ცვლის „ოცნება“ 04.02.2025 ხელმისაწვდომია <https://netgazeti.ge/news/762345/> 10.04.2025

იმდაგვარად, რომ საზოგადოებრივ ადგილებში ლანძვლა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება წვრილმან ხულიგნობად ჩაითვლება, თუ იგი არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა ან/და მოქალაქეთა სიმშვიდეს. წინა რედაქციით, საზოგადოებრივი წესრიგის და მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევა კუმულატიურ და არა ალტერნატიული მოთხოვნას წარმოადგენდა.<sup>7</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, 166–ე მუხლში შეტანილი ახალი ცვლილებები ნიშნავს, რომ ერთეული ადამიანების პრეტენზიის გამო, პირი შეიძლება წვრილმან ხულიგნობაში სამართალდამრღვევად გამოაცხადონ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173–ე მუხლში შეტანილი ცვლილებები. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ, წლების განმავლობაში განხორციელებული სასამართლო თუ, საპროტესტო აქციების მონიტორინგის მიგნებების შესაბამისად,<sup>8</sup> სამართალდამცავები მომიტინგეებს, დაუსაბუთებლად, ყველაზე ხშირად სწორედ აღნიშნული მუხლის დარღვევის საფუძვლით აკავებენ. კოდექსში შეტანილი ცვლილებები და გამკაცრებული სანქციები კი ერთგვარი სადამსჯელო იარაღი ხდება მომიტინგეთა წინააღმდეგ, რასაც შესაძლოა, მსუსხავი ეფექტი ჰქონდეს შეკრებისა და გამონატვის თავისუფლებაზე.

ამასთან, 173-ე მუხლს დაემატა მე-2 ნაწილი,<sup>9</sup> რომელიც ითვალისწინებს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის შეურაცხყოფას, ლანძვლა-გინებას, შეურაცხმყოფელ გადაკიდებას ან/და სხვაგვარი შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა). აღნიშნული ქმედებისათვის სანქციად განისაზღვრება 2000 ლარიდან 5000 ლარამდე ოდენობით ჯარიმა, ან ადმინისტრაციული პატიმრობა 60 დღემდე ვადით.

<sup>7</sup> ხელმისაწვდომია: <https://gyula.ge/post/represiuli-sakanonmdeblo-cvilebebi-saias-shefaseba> 10.04.2025

<sup>8</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის 2024 წლის სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების შემაჯამებელი ანგარიში. 27.06.2024 ხელმისაწვდომია <https://hrc.ge/files/reports/334polit-cases.pdf> 10.04.2025

<sup>9</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 173–ე მუხლის მე-2 პუნქტი



## შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები, აქციის ორგანიზატორებისთვის გამკაცრებული სანქციები

საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა შეკრებისა ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევის მომწესრიგებელ ნორმებზე. ჯერ კიდევ აპრილი-მაისის თვეში, „რუსული კანონის“ წინააღმდეგ მომიტინგეთა მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174<sup>1</sup> მუხლის<sup>10</sup> გამოყენება სიახლეს წარმოადგენდა სასამართლო პრაქტიკისათვის,<sup>11</sup> რაც აჩენდა ეჭვს, რომ „მკვდარი ნორმის“ ამოქმედება აქციის ორგანიზატორების და აქტიური მომიტინგეების დასჯა-დაშინების მიზანს ემსახურებოდა. ახალი ცვლილებებიდან გამომდინარე, მისი კიდევ უფრო გამკაცრება და პრაქტიკაში კიდევ უფრო აქტიურად გამოყენება ადასტურებს ხელისუფლების სურვილს, უხეშად ჩაერიოს მოქალაქეთა შეკრების და გამონათვის უფლების სფეროში.

თავის მხრივ, „ქართულმა ოცნებამ“ შეკრებებისა და მანიფესტაციების კანონის რეპრესიული სინქრონიზაცია მოახდინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან<sup>12</sup> და იმ შემთხვევაში თუ აქციის ორგანიზატორი დაარღვევს აქციის გამართვასთან დაკავშირებით აღმასრულებელი ორგანოს 5 დღით ადრე წინასწარი გაფრთხილების ვალდებულებას, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ადგილას იმართება ან ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს, პირველ ჯერზე 5000-ლარიანი ჯარიმა რჩება. განმეორების შემთხვევაში კი ჯარიმა 6000 ლარამდე გაიზრდება. გარდა ამისა ამავე მუხლით<sup>13</sup> პატიმრობის სანქცია 5 დღის ნაცვლად 60 დღემდე გაიზარდა.

თავის მხრივ, ცვლილებები შევიდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-9, მე-11 და მე-11<sup>1</sup> მუხლებში,<sup>14</sup> რომლებზეც მიუთითებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174<sup>1</sup> მუხლი. მე-9 მუხლში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, იკრძალება შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება შენობაში, მესაკუთრის წინასწარი წერილობითი

<sup>10</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 174<sup>1</sup> ე მუხლი

<sup>11</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის 2024 წლის შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში. 23.12.2024 ხელმისაწვდომია

<https://www.hrc.ge/files/reports/372Georgian%20sumrep.pdf> 10.04.2025

<sup>12</sup> „რადიო თავისუფლება“ - „სონტანური აქციის“ წინასწარ შეთანხმება, ორმაგი ჯარიმები – რას მოიცავს შემზღუდავი ცვლილებები. 04.02.2025 ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33302631.html> 10.04.2025

<sup>13</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 174<sup>1</sup> ე მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>14</sup> შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველო კანონი მე-9, მე-11, მე-11<sup>1</sup> მუხლები

თანხმობის გარეშე. ასევე, იკრძალება შენობების შესასვლელების, ავტომაგისტრალების, ხიდების, გვირაბების, ესტაკადების, რკინიგზის ბლოკირება; ასევე - მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული იმგვარი სატრანსპორტო კვანძების ბლოკირება, რომლის შეფერხებაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნორმალურ ფუნქციონირებას ან/და მნიშვნელოვნად შეაფერხებს სატრანსპორტო ნაკადების გადაადგილებას (აქამდე აღნიშნული აკრძალვა მხოლოდ შენობების შესასვლელებს, ავტომაგისტრალებს და რკინიგზის ბლოკირებას ეხებოდა). ასევე ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის მიმდებარედ ან შენობაში ტარდება შეკრება, შეუძლია, შენობის ბლოკირებისა და დაწესებულების საქმიანობის შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, დააწესოს შეზღუდვა შეკრების ან მანიფესტაციის შენობიდან მოშორებით ჩატარებასთან დაკავშირებით. შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის მე-11 მუხლში შეტანილი ცვლილებების შედეგად, იკრძალება განზრახ დაბრკოლების შექმნა ხალხის და ტრანსპორტის გადაადგილებისთვის (აქამდე აღნიშნული მხოლოდ ტრანსპორტის გადაადგილებაზე ვრცელდებოდა). ასევე, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტს ემატება „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები, რომელთა მიხედვითაც მონაწილეებს ეკრძალებათ „მოაწყონ დროებითი კონსტრუქცია, თუ მისი მოწყობა საფრთხეს უქმნის შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს ან სხვა პირებს, ხელს უშლის პოლიციის მიერ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას, იწვევს საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირების შეფერხებას, მისი მოწყობის გარეშე არსებითად არ ფერხდება შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება ან/და მისი მოწყობა შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებას არ უკავშირდება“. ამ მოთხოვნათა დარღვევის გამო, აქციის ორგანიზატორისათვის ჯარიმა ითვალისწინებს 15 000 ლარს ან 20 დღემდე პატიმრობას, განმეორების შემთხვევაში კი, ჯარიმა - 20 000 ლარს ან 60-დღიან პატიმრობას. აღნიშნული ცვლილება სამართალდამცავებს უფლებას აძლევს, საფრთხედ მიიჩნიოს და აკრძალოს ნებისმიერი სახის კონსტრუქციის გამოყენება, მათ შორის - სცენის, რასაც ხშირად იყენებენ აქციის მონაწილეები სიტყვით გამოსვლების დროს. სამართალდამცავებს შეუძლიათ მოახდინონ კონსტრუქციების დემონტაჟი და კონფისკაცია, ხოლო ორგანიზატორის წინააღმდეგ გამოიყენონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან გათანაბრებული ადმინისტრაციული ჯარიმები.

ცვლილებებით, ასევე, გაიზარდა სანქცია სასამართლოს შესასვლელის ბლოკირებისთვის, შეკრების ან მანიფესტაციის მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან საქართველოს საერთო სასამართლოში ჩატარებისთვის. ამ

შემთხვევაში სანქცია 5000 ლარის ოდენობით ჯარიმას ან 60 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს.<sup>15</sup>

გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გაეზარდა უფლებამოსილება შსს–ს საპროტესტო აქციის შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. კერძოდ, შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლში შეტანილი ცვლილებებით, შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა მიერ ტრანსპორტის სავალი ნაწილის ნაწილობრივ ან სრულად გადაკეცვისას, ტრანსპორტის სავალი ნაწილის გახსნის ან/და ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს არა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, არამედ შსს.



## სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან ბათანაბრებული ჯარიმები

სხვადასხვა მონაცემებით, 2024 წლიდან 2025 წლის მაისამდე საპროტესტო აქციების მონაწილეთა წინააღმდეგ გამოწერილი ჯარიმების ოდენობამ 18 მილიონ ლარს გადააჭარბა.<sup>16</sup> ზოგიერთი აქციის მონაწილის წინააღმდეგ ჯარიმების ოდენობა 10 ათასობით ლარს აჭარბებს.<sup>17</sup> იმ პირობებში, როდესაც საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 0.5% აქვს თვეში 5000 ლარზე მეტი შემოსავალი, ხოლო ქვეყანაში საარსებო მინიმუმი 260.30 ლარს<sup>18</sup> შეადგენს, ჯარიმების გამოყენების ინტენსივობა და დაუსაბუთებელი ხასიათი მიუთითებს, რომ მისი მიზანი პროტესტის მონაწილე მოქალაქეების და აქციის ორგანიზატორების<sup>19</sup> დასჯა, პროტესტის შესუსტება და აქციის მონაწილეთა დაშინებაა. გარდა ამისა, არაპროპორციულად მაღალი ჯარიმების პრაქტიკა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს. ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მოსაზრებით,<sup>20</sup>

<sup>15</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 174<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტი

<sup>16</sup> „კომერსანტი“ - აქციების მონაწილეებს ჯამში 18 მლნ-ის ჯარიმები დაეკისრათ 10.04.2025 ხელმისაწვდომია: <https://www.commersant.ge/news/finances/aqtsiebis-monatsileebis-jamshi-18-mln-is-jarimebi-daekisrat-ivanishvilma-ofshorebis-kanonit-gadasakhadis-gareshe-12-mlrd-is-koleqtsia-shemoitana-zurabishvili> 10.04.2025

<sup>17</sup> „ევრონიუს ჯორჯია“. 19.03.2025. ხელმისაწვდომია: <https://euronewsgeorgia.com/2025/03/19/jarima-5000/> 10.04.2025.

<sup>18</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/791/saarsebo-minimumi> 10.04.2025.

<sup>19</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 174<sup>1</sup> მუხლის მე-5 და მე-6 მუხლები. 20 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინტიტუტი“ - ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის შეფასებები შეკრებისა და გამოსატვის თავისუფლებების შემზღვეველ რეპრესიულ ცვლილებებზე.

არაპროპორციულმა სანქციამ, მათ შორის - მკაცრმა ჯარიმებმა, შესაძლოა, დაარღვიოს შეკრების თავისუფლების უფლება და ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი, რომელიც მომავალში შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობის მსურველ პირს უბიძგებს, თავი შეიკავოს პროტესტის გამოხატვისაგან. ამასთანავე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ არაპროპორციულად მკაცრი სანქციის გამოყენებამ, შესაძლოა, მსუსხავი ეფექტის საფრთხე გააჩინოს.

საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკული დასკვნების გარდა, საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, განცხადება გაავრცელა საქართველოს სახალხო დამცველმაც, სადაც აღნიშნულია, რომ „ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, გაზრდილი ჯარიმები მძიმე ტვირთად დააწვება დაჯარიმებულ ინდივიდებს“.<sup>21</sup>



## გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ახალი საფუძვლები

აქციის მონაწილეთა გამოხატვის თავისუფლება ჯერ კიდევ 2024 წლის დეკემბერში დაექვემდებარა დაუსაბუთებელ შეზღუდვებს. 13 დეკემბერს „ქართული ოცნების“ პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს, რომლის მიხედვითაც, სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვა, გახდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელიც იწვევს დაჯარიმებას 2000 ლარით.<sup>22</sup> ამასთან ერთად, შეკრების მონაწილეებს აკრძალვიათ თან იქონიონ „ლაზერული ან/და მკვეთრი გამოსხივების მქონე ისეთი საშუალება, რომლის გამოყენებამაც, შესაძლოა, ხელი შეუშალოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა საქმიანობას ან/და მათ სარგებლობაში არსებულ ტექნიკურ საშუალებათა გამართულ ფუნქციონირებას.“

რაც შეეხება უშუალოდ ნიღბების აკრძალვას, ეს ინიციატივა ადამიანის უფლებების საწინააღმდეგოდ მიმართული მორიგი ნაბიჯია, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობიანი პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ რეპრესიული მექანიზმების გამოყენების გაადვილებას. აქვე ხაზგასასმელია, რომ აქციის მონაწილეების მიმართ ანგარიშსწორების, ზონდერ-დაჯგუფებების მიერ

20.03.2025. ხელმისაწვდომია: <https://idfi.ge/ge/venice-commission-and-osce-odihr-assessments-of-repressive-changes-restricting-freedom-of-assembly-and-expression> 10.04.2025

<sup>21</sup> „რადიო თავისუფლება“ რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება არ შეესაბამება უფლებათა დაცვის სტანდარტებს 13.12.2024 ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33238989.html> 10.04.2025

<sup>22</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 17.12.2024 ხელმისაწვდომია: <https://gvla.ge/post/nigbis-akrdzalva> 10.04.2025

მათზე ძალადობის, სამართალდამცავების მხრიდან უსაფუძვლო დაკავების და საჯარო სამსახურებში არსებული ზეწოლის გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ დემონსტრანტები აქციაზე ყოფნის დროს საკუთარი იდენტობის დაფარვას ცდილობენ, რათა თავიდან აიცილონ უკანონო, რეპრესიული ანგარიშსწორება, ამასთან, თავი დაიცვან სპეციალურ საშუალებებში გამოყენებული იმ ქიმიური გამაღიზიანებლებისგან, რომელთა შემადგენლობასაც შსს არ ასაჯაროებს და უკანონოდ და არაპროპორციულად იყენებს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ.<sup>23</sup>

სახის ნიღბით დაფარვის აკრძალვასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ვენეციის კომისიის განმარტება,<sup>24</sup> სადაც აღნიშნულია, რომ მშვიდობიანი შეკრებისას, ნებისმიერი ნიღბის ტარებაზე ბლანკეტური აკრძალვა წარმოადგენს შეკრების თავისუფლების არაპროპორციულ შეზღუდვას და არღვევს როგორც შეკრების, ასევე გამოხატვის თავისუფლებას და ეწინააღმდეგება საერთაშორისო ხელშეკრულებებს ადამიანის უფლებების სფეროში. ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის დასკვნების მიხედვით, არ უნდა არსებობდეს ბლანკეტური ან რუტინული აკრძალვა შეკრებაზე ნიღბის ტარებასთან დაკავშირებით.<sup>25</sup> მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების უფლების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშის<sup>26</sup> მიხედვით, ასეთი შეზღუდვა ხშირად გამოიყენება კონკრეტული ჯგუფების მიზანში ამოსაღებად და მათი შეკრების თავისუფლების არასათანადოდ შესაზღუდად.

საპროტესტო აქციების მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით, დემონსტრანტების მიერ სახის დაფარვის აკრძალვის პარალელურად, შსს, საერთაშორისო სტანდარტის საწინააღმდეგოდ, კვლავ არ უზრუნველყოფს სპეციალური რაზმის წევრების მაიდენტიფიცირებელი ნიშნებით აღჭურვას, რაც მათ დაუსჯელობას იწვევს და აზღვრს ძალადობის წახალისებას. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ, საპროტესტო აქციებზე არაიდენტიფიცირებული სამართალდამცავების მობილიზების და მათი მხრიდან ადამიანის უფლებების სისტემური დარღვევის არაერთი ფაქტია იდენტიფიცირებული. ორგანიზაციამ გამოაქვეყნა არაერთი ანგარიში და

---

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) OPINION ON FEDERAL LAW NO. 65-FZ OF 8 JUNE 2012 OF THE RUSSIAN FEDERATION, Opinion no. 686/2012, CDL-AD(2013)003, 11 March 2013, par. 28, [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2013\)003-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2013)003-e), [09.12.2024].

<sup>25</sup> EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) OSCE OFFICE FOR DEMOCRATIC INSTITUTIONS AND HUMAN RIGHTS (OSCE/ODIHR) GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY (3rd EDITION), CDL-AD(2019)017rev, 15 July 2020, par. 153

<sup>26</sup> Report of the Special Rapporteur on the rights to freedom of peaceful assembly and of association, Maina Kiai, A/HRC/26/29, 14 April 2014, <https://documents.un.org/doc/undoc/gen/g14/134/75/pdf/g1413475.pdf>, [09.12.2024].

რეკომენდაცია,<sup>27</sup> მაგრამ დღემდე აქციების მართვის პროცესში შსს აქტიურად იყენებს არაიდენტიფიცირებულ სამართალდამცავებს. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ „ქართული ოცნება“ ამ ცვლილებით ცდილობს ადამიანები კიდევ უფრო დაუცველები გახადოს იმ ტერორის მიმართ, რომლის დამყარებაც ლეგიტიმური და მშვიდობიანი პროტესტის ჩასახშობად სურს. გარდა ამისა, შსს აგრძელებს სამართალდარღვევის იდენტიფიცირების საფუძვლით საქმის წარმოებისას სახის ამომცნობი კამერების მასობრივ გამოყენებას<sup>28</sup> აქციის მონაწილეების წინააღმდეგ, რაც წარმოადგენს ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების და პერსონალური მონაცემების უკანონო მოპოვების მავნე პრაქტიკას, ემსახურება მოქალაქეთა დაშინებას და აქციის მონაწილეთა სამომავლო ქცევის კონტროლს, რასაც შესაძლოა ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი და გამოიხატოს მშვიდობიანი შეკრების სარგებლობის უფლების თვითშეზღუდვაში.

გამონათვის უფლების საკანონმდებლო შეზღუდვის ტენდენცია 2025 წელსაც გაგრძელდა. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გაჩნდა ახალი სამართალდარღვევა<sup>29</sup>, 173<sup>16</sup> მუხლის სახით - საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, პოლიტიკური თანამდებობის პირის, სახელმწიფო მოსამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებული პირის ან/და საჯარო მოსამსახურის სიტყვიერი შეურაცხყოფა, ლანძღვა-გინება, შეურაცხმყოფელი გადაკიდება ან/და სხვაგვარი შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ან საქმიანობასთან დაკავშირებით (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა). ეს გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარიდან 4000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 45 დღემდე ვადით. ამ სამართალდარღვევისთვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ ამავე მუხლით განსაზღვრული რომელიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა – გამოიწვევს დაჯარიმებას 2500 ლარიდან 6 000

---

27 იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში: „ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მოკლე ანგარიში აქციებზე მობილიზებული პოლიციელების რაოდენობისა და არაიდენტიფიცირებულ პოლიციელების შესახებ“. 27.09.2023. მონიტორინგის მოკლე ანგარიში საპროტესტო აქციების მონაწილეთა მიმართ განხორციელებულ წამებასთან და არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებით. 03.10.2024 საქართველოში საპროტესტო აქციებში მონაწილეთა წინააღმდეგ წამებისა და არასათანადო მოპყრობის კვლევის წინასწარი მიგნებები 2024 წლის 28 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით. 24.12.2024. ხელმისაწვდომია <https://www.hrc.ge/search/geo/> 10.04.2025.

28 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - შსს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ სახის ამომცნობ ტექნოლოგიებს ტოტალური კონტროლისათვის იყენებს. 12.03.2025. ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/post/saxis-amomcnobi-kamerebi-saia> 19.04.2025

<sup>29</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 173<sup>16</sup>–ე მუხლი

ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 5 დღიდან 60 დღემდე ვადით.<sup>30</sup>

ადამიანის უფლებათა ცენტრის აზრით, აღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას,<sup>31</sup> რადგან გამოხატვის თავისუფლება იცავს არა მხოლოდ სხვებისთვის მისაღებ იდეებს, არამედ ისეთ გამოხატვასაც, რომელიც შესაძლოა მიუღებელი იყოს სხვა პირისათვის. გარდა ამისა, სახელმწიფოს წარმომადგენლები აღჭურვილნი უნდა იყონ მაღალი თემნის ვალდებულებით შეურაცხყოფელი ენის მიმართ და უნდა იჩინდნენ მაღალი დონის მიმღებლობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ენა ძალადობის მყისიერ რისკს იწვევს. ცალსახაა, რომ აღნიშნული ცვლილება პოლიტიკური გამოხატვის ფორმების დასჯას და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების კრიტიკას და მათ მიმართ მშვიდობიანი პროტესტის სხვადასხვა ფორმებით დასჯას ემსახურება.



## სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებები

„ქართულმა ოცნებამ“, სხვა რეპრესიულ კანონებთან ერთად, დაჩქარებული წესით ცვლილებები შეიტანა სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც, რაც რეალურად სისხლის სამართლის მექანიზმების პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენების გაგრძელების საშუალებას წარმოადგენს. სასჯელები გამკაცრდა რიგ დანაშაულებთან მიმართებით და მათ ემატება დამამძიმებელი გარემოებები.

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა სრულიად ახალი შინაარსის დანაშაული 353<sup>2</sup>-ე მუხლის სახით,<sup>32</sup> რაც გულისხმობს - საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე, პოლიტიკური თანამდებობის პირზე, სახელმწიფო მოსამსახურეზე, სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებულ პირზე ან/და საჯარო მოსამსახურეზე თავდასხმას ან მის მიმართ სხვა ამგვარი ქმედების ჩადენას, რაც 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ეს ძალადობის მუქარა თუ არის არაერთგზის, ჯგუფურად, არასრულწლოვანის თანდასწრებით ან აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, მაშინ სასჯელი ორიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

<sup>30</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 173<sup>16</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტი

<sup>31</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მე-17 მუხლი

<sup>32</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 353<sup>2</sup> მუხლი.

ამასთან, საყურადღებოა, რომ ცვლილებების შედეგად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლს<sup>33</sup> (ტელერადიომაუწყებლობის ან კავშირგაბმულობის დაწესებულების ანდა სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება) და 330-ე მუხლს (სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით) დაემატა შენიშვნა, რომლითაც განისაზღვრა, რომ ამ მუხლების მიზნებისთვის სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

2025 წლის 1 თებერვალს „ქართული ოცნების“ მთავრობამ „თბილისი მოლის“ მიმდებარედ ავტომაგისტრალზე დაგეგმილი მასშტაბური დემონსტრაციის გამართვამდე ერთი დღით ადრე, პროტესტის ჩახშობის მიზნით, „სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის №361 დადგენილებაში<sup>34</sup> შეიტანა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ხსენებული მუხლის მიზნებისთვის სტრატეგიულ ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ნუსხას დაემატა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ჩამონათვალი. ამ ცვლილებებით მოხდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის კრიმინალიზება, რასაც მყისიერად მოჰყვა აღნიშნულ მუხლზე მითითებით 8 პირის დაკავება და მათთვის ბრალის წარდგენა.<sup>35</sup> ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ დემონსტრანტების მიმართ სისხლის სამართლის მექანიზმების გამოყენება არა სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური ინსტრუმენტის სახეს წარმოადგენს, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით, ცხადია, რომ „ქართული ოცნება“ ახდენს კანონის ინსტრუმენტალიზებას, რითაც კიდევ უფრო ასუსტებს ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიებს, მათ შორის, ახდენს გარკვეული ქმედებების კრიმინალიზებას, რაც საზოგადოების დაშინებას და მოქალაქეების ლეგიტიმური პროტესტის ყველა ფორმით ჩახშობის მიზანს ემსახურება.

<sup>33</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 222-ე მუხლი

<sup>34</sup> საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 იანვარის დადგენილება №28 „სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ,“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის №361 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6402127?publication=0> 11.04.2025

<sup>35</sup> „პუბლიკა“ - „თბილისი მოლთან“ დაკავებულ 8 პირს სასამართლომ საპატიმრო გირაო შეუფარდა, ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/tbilisi-moltan-dakavebul-8-pirs-sasamartlom-sapatimro-girao-sheufarda/> 10.04.2025



## ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მიგნებები და დამკვიდრებული ტენდენციები

საქართველოს მოქალაქეები უკვე 140 დღეზე მეტია მთელი საქართველოს მასშტაბით მართავენ საპროტესტო აქციებს.<sup>36</sup> დემონსტრანტების მთავარი მოთხოვნა ახალი საპარლამენტო არჩევნები და დაკავებული პოლიტიკატიმრების გათავისუფლებაა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მშვიდობიან დემონსტრანტებს არაპროპორციულ საპოლიციო ძალას და საკანონმდებლო რეპრესიებს უპირისპირებს. სამართალდამცავების მხრიდან ყოველდღიურად ადგილი აქვს მშვიდობიან დემონსტრანტებზე ძალადობას და უკანონო დაკავებებს. 2025 წლიდან დამკვიდრებული ტენდენციის თანახმად, აქციის მონაწილეების წინააღმდეგ კიდევ უფრო გააქტიურდა ადმინისტრაციული ჯარიმების გამოწერა, რომლის მთავარ მიზანს მოქალაქეებისათვის ფინანსური პრობლემების შექმნა და საზოგადოების დაშინება წარმოადგენს. მხოლოდ მეკრებისა ან მანიფესტაციის ორგანიზების და ჩატარების წესის დარღვევის გამო, 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის მაისამდე დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოწერილი ჯარიმები 2 მილიონ ლარს აჭარბებს.<sup>37</sup>

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტების წარმოებაშია სამოქალაქო აქტივისტების საქმეები, რომელთა წინააღმდეგ რამდენიმე დღიანი შუალედით 5-ზე მეტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი იქნა შედგენილი, ჯარიმის რაოდენობა კი ათიათასობით ლარს აჭარბებს.

სამწუხაროდ, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის მიხედვით, დგინდება, რომ წინა წლების მსგავსად, საქართველოში კვლავ აქტუალურია სამართლიანი სასამართლოს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სტანდარტების, უდანაშაულობის პრეზუმფციის და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დარღვევა. უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მხრიდან ბრალის დამტკიცებისათვის სასამართლოში უტყუარ მტკიცებულებათა წარდგენის დაბალი სტანდარტები. უმრავლეს შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილება მოწმე პოლიციელების ზეპირ ჩვენებებს ეყრდნობა და არ ხდება მტკიცებულებათა ყოველმხრივი გამოკვლევა. ხშირ შემთხვევაში, დარღვეულია მხარეთა თანასწორობის

<sup>36</sup> „Palitravideo.ge“ თბილისსა და რეგიონებში დღეს საპროტესტო აქციები გაიმართება 18.04.2025 ხელმისაწვდომია: <https://palitravideo.ge/video/178296-tbilissa-da-regionebshi-dges-saprotesto-akciebi-gaimarteba/> 20.04.2025

<sup>37</sup> „ნეტგაზეტი“ გზის გადაკეტვისათვის ჯარიმები 2 მილიონს აღწევს. 19.03.2025 ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/768046/> 20.04.2025

უფლება, რაც გამოიხატება საქმეების ფორსირებული წესით განხილვაში. უმრავლეს შემთხვევაში, მოსამართლეები დაუსაბუთებლად უარს აცხადებენ დაცვის მხარის შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე, დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების ან გამოკვლევის შესახებ.

მონიტორინგის შედეგად ასევე გამოვლინდა მხარისათვის, დაცვის პროცესის ჩამოსაყალიბებლად არასაკმარისი დროის გამოყოფის შემთხვევები. ერთ–ერთ შემთხვევაში ადვოკატისათვის ჯარიმის ოქმების გადაცემა უშუალოდ სასამართლო სხდომაზე მოხდა, რასთან დაკავშირებითაც ადვოკატმა დააყენა სხდომის გადადების შუამდგომლობა. მოსამართლე მაქსიმალურად ცდილობდა სხდომის დაჩქარებული წესით ჩატარებას და მხარეს ოქმების გაცნობა სასამართლო დარბაზში შესთავაზა. მხოლოდ ადვოკატის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ გახდა მოსამართლე იძულებული, გადაედო სხდომა.

გარდა ამისა, სასამართლო მონიტორინგისას დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება არ მიეცათ უფლებადამცველი ორგანიზაციების დამკვირვებლებს.<sup>38</sup> ყოველივე ეს ტოვებს განცდას, რომ სასამართლო არ არის ორიენტირებული მხარეთა თანასწორობის, საქმის მასალების ყოველმხრივი გამოკვლევის და მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების შედეგად არგუმენტირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე, რასაც ადასტურებს საერთაშორისო და ადგილობრივი უფლებადამცველი ორგანიზაციების შეფასებები და დასავლეთის მიერ რიგ მოსამართლეთა მიმართ დაწესებული სანქციები.<sup>39</sup>

---

<sup>38</sup> „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ - მოსამართლე ირაკლი შვანგირაძე დემონსტრანტების საქმის განხილვისას სადამკვირვებლო სტატუსის მქონე პირებს საქმიანობას უზღუდავს. 25.03.2024 ხელმისაწვდომია: <https://gvla.ge/results/8563> 22.04.2025

<sup>39</sup> „საქართველოს სასამართლოს გუმაგი“ - სანქცირებული მოსამართლეები საქართველოს სასამართლოებში 19.12.2024. ხელმისაწვდომია: <https://courtwatch.ge/articles/sanctioned-judges> 20.04.2025.

## დასკვნა

მიუხედავად საპროტესტო აქციების დროს სამართალდამცავთა მხრიდან განხორციელებული სისტემური ძალადობის ფაქტებისა, რაც რიგ შემთხვევაში წამებას და არაადამიანურ მოპყრობას უტოლდებოდა,<sup>40</sup> „ქართულმა ოცნებამ“ მთელი თავისი რესურსი შეკრებისა და გამონატვის უფლების წინააღმდეგ მიმართა. ხოლო სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან საპროტესტო აქციების მართვისა და ფასილიტაციის პროცესში გამოვლენილი სისტემური ხარვეზების გამოსწორებისაკენ ნაბიჯები დღემდე არ გადადგმულა.

კვლავ ვერ/არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რასაც უწყების ხელმძღვანელზე დაწესებული საერთაშორისო სანქციებიც<sup>41</sup> მიუთითებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მხრიდან სამართალდამცავების მიერ ჩადენილი დანაშაულის დროულ და ეფექტურ გამოძიებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვისთვის. მიუხედავად ამისა, დღემდე არ დამდგარა იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც სავარაუდოდ პასუხისმგებელია მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ჩადენილი ილენტიფიცირებული უმძიმესი დანაშაულების, მათ შორის - წამების, ღირსების შელახვის, ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტებზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიები, ძალადობის ფაქტები და კანონმდებლობაში შესული ცვლილებები, ძირს უთხრის საქართველოს დემოკრატიას, არაპროპორციულად ზღუდავს ადამიანის შეკრებისა და გამონატვის თავისუფლებას და კიდევ უფრო ამორებს ქვეყანას ევროატლანტიკური ორგანიზაციებისაგან, რაც პირდაპირ არღვევს საქართველოს კონსტიტუციას.

<sup>40</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის მოკლე ანგარიში საპროტესტო აქციების მონაწილეთა მიმართ განხორციელებულ წამებასთან და არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებით. 03.10.2024 ხელმისაწვდომია <https://hrc.ge/files/reports/342HRC-%20Brief%20Monitoring%20Report%20geo.pdf> 10.04.2025

<sup>41</sup> პირველი არხი - გაერთიანებულმა სამეფომ სასაქციო სიაში საქართველოს კიდევ ოთხი მოქალაქე შეიყვანა. 10.04.2025 ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/news/gaertianebulma-samefom-sasangcio-siashi-sagartvelos-kidev-otkhi-mogalage-sheivyana/> 22.04.2025